

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N15 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე,
მოქალაქე მურმანი შერგელაშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. მურმანი შერგელაშვილის განცხადებების (2014 წ. 16.07.№-6151;02.07.№-5094;23.06.№-5690), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N15 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მურმანი შერგელაშვილს / პ/ნ N60001128499/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N15 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე საერთო ფართობი 55,45 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 30,00 კვ.მ. დამხმარე ფართობი 25,45 კვ.მ. მოქალაქე მურმანი შერგელაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი